სს შატო მუხრანი
მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს)
ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნა

2024 წლის **31** დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება....1
მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება....2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება....3
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება....4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1. ზოგადი ინფორმაცია....5
2. კომპანიის საოპერაციო გარემო....5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა....6
4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას....10
5. შემოსავალი....12
6. ხარჯები....12
7. საფინანსო შემოსავალი და ხარჯები....13
8. ძირითადი საშუალებები....14
9. სხვა არამიმდინარე აქტივები....15
10. მარაგები....15
11. სავაჭრო და სხა მოთხოვნები....16
12. ფული და ფულის ეკვივალენტები....16
13. საწესდებო კაპიტალი....16
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები....17
15. ფინანსური ინსტრუმენტები....17
16. გაუთვალისწინებელი შემთხვევები და ვალდებულებები....17
17. დაკავშირებული მხარეები....18
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები....19

სხვა ინფორმაცია - ხელმძღვანელობის 2024 წლის ანგარიში

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „შატო მუხრანის“ აქციონერს

მოსაზრება

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს „შატო მუხრანის“ („კომპანია") ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის კომპანიის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტისა და საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად.

აუდიტის ობიექტი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები, რომლებიც მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA-ების) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე".

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები, საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებელნი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშს (მაგრამ არ მოიცავს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას და მასზე ჩვენს აუდიტორულ დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ ვრცელდება ხელმძღვანელობის ანგარიშზე.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა მდგომარეობს ხელმძღვანელობის ანგარიშის გაცნობაში და იმის შეფასებაში, ხომ არ არის იგი არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მიღებულ ინფორმაციასთან, ან ხომ არ შეიცავს სხვაგვარად არსებით უზუსტობას. თუ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ აღნიშნული ხელმძღვანელობის ანგარიში შეიცავს არსებით უზუსტობას, ჩვენ ვალდებულები ვართ ეს ფაქტი ასახული იყოს ჩვენს დასკვნაში. ამ მხრივ არანაირი საკითხი არ გამოვლენილა.

PricewaterhouseCoopers Georgia LLC, ს/კ 405220611
კინგ დეივიდ ბიზნეს ცენტრი, მე-7 სართული, #12 მ. ალექსიძის ქუჩა,
თბილისი 0171, საქართველო ტელ: +995 (32) 250 80 50, www.pwc.com/ge

გარდა ამისა, საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" მოითხოვს, რომ გამოვთქვათ მოსაზრება იმის თაობაზე, შეესაბამება თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიშის გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და განვიხილოთ, შეიცავს თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიში საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- ხელმძღვანელობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ხელმძღვანელობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია აკმაყოფილებს საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობისა და მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტისა და საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის უნარი, განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ, საჭიროებისამებრ განმარტოს მოქმედი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და გამოიყენოს მოქმედი საწარმოს დაშვება ბუღალტრული აღრიცხვისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან არ გააჩნია ამის გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსახრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების საერთო წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და ვადგენთ, უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითადი ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

/ხელმოწერილია/

ლაშა ჯანელიძე (რეგ.# SARAS-A-562091)
/ხელმოწერილია/

29 აპრილი, 2025 წელი თბილისი,
საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	57,473	55,386
არამატერიალური აქტივები		17	20
გრძელვადიანი აქტივების წინასწარი გადახდები	8	584	1,175
გაცემული სესხები		118	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	9	1,251	-
შეზღუდული ფული	12	1,498	1,500
სულ გრძელვადიანი აქტივები		**60,941**	**58,081**
მარაგები	10	16,967	15,914
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	5,241	3,863
გაცემული სესხები		24	-
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	54
ფული და ფულის ექვივალენტები	12	1,544	1,604
სულ მიმდინარე აქტივები		**23,776**	**21,435**
სულ აქტივები		**84,717**	**79,516**
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	115,403	109,516
საწესდებო პრემია		33,876	33,876
დაგროვილი დეფიციტი		(66,942)	(65,834)
სულ საკუთარი კაპიტალი		**82,337**	**77,558**
ვალდებულებები			
სხვა გადასახადების გადახდა		29	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	2,351	1,958
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**2,380**	**1,958**
სულ ვალდებულებები		**2,380**	**1,958**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**84,717**	**79,516**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 29 აპრილს:

/ხელმოწერილია/
პატრიკ ჰონეფი
უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი

/ხელმოწერილია/
დავით კუპატაძე
ფინანსური დირექტორი

სს შატო მუხრანი

მოგების და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	5	12,660	12,891
გაყიდვების ღირებულება		(9,443)	(9,676)
მთლაინი მოგება		**3,217**	**3,215**
ადმინისტრაციული ხარჯები	6	(4,587)	(4,130)
გაყიდვების, მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები	6	(289)	(312)
მარკეტინგის ხარჯები	6	(503)	(539)
სხვა ხარჯები	9	975	-
სხვა შემოსავალი/ ხარჯი, წმინდა		167	(44)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		**(1,020)**	**(1,810)**
საფინანსო შემოსავალი	7	124	67
საფინანსო ხარჯები	7	(212)	-
ზარალი საშემოსავლო გადასახადამდე		**(1,108)**	**(1,743)**
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი		-	-
ზარალი წლის განმავლობაში		**(1,108)**	**(1,743)**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში		**(1,108)**	**(1,743)**

სს შატო მუხრანი
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ათას ლარში	საწესდებო კაპიტალი	საწესდებო პრემია	დაგროვილი დეფიციტი	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	**103,107**	**33,876**	**(64,091)**	**72,892**
სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში	-	-	(1,743)	(1,743)
კომპანიის მფლობელთან ტრანზაქციები				
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შენიშვნა 13)	6,409	-	-	6,409
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**109,516**	**33,876**	**(65,834)**	**77,558**
სრული ზარალი წლის განმავლობაში	-	-	(1,108)	(1,108)
ტრანზაქციები კომპანიის მფლობელთან				
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შენიშვნა 13)	5,887	-	-	5,887
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	**115,403**	**33,876**	**(66,942)**	**82,337**

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
შემოსავალი მომხმარებლებისგან		12,900	12,744
გადახდები მომწოდებლებისთვის		(8,372)	(8,767)
გადახდები თანამშრომელბისთვის		(3,776)	(2,820)
შემოსავლის გარდა სხვა გადასახადი, წმინდა		(2,068)	(1,565)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან		**(1,316)**	**(408)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
დეპოზიტის განთავსება გარანტიისთვის	12	-	(1,500)
ძირითადი საშუალებების შეძენა		(4,071)	(4,304)
წმინდა ფული გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		**(4,071)**	**(5,804)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი პროცენტი		-	(63)
სესხებისა და ნასესხები სახსრების დაფარვა		(350)	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	13	5,887	6,409
წმინდა ფულადი ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან		**5,537**	**6,346**
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		**150**	**134**
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვარს	12	**1,604**	**1,504**
გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(210)	(34)
ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბერს	12	**1,544**	**1,604**

1. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის" (მსს ფასს) და საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების ესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის სს „შატო მუხრანისთვის" („კომპანია", „CHM ").

სს „შატო მუხრანი" დაფუძნებულია როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული. 2010 წლის 17 თებერვალს მოხდა კომპანიის რეორგანიზაცია სააქციო საზოგადოებად. კომპანიის საგადასახადო რეგისტრაციის ნომერია: 205000381.

კომპანია სრულად ეკუთვნის სს მარუსია ბევერიჯის ჯორჯია-ს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს მარუსია ბევერიჯის ჯორჯია სრულად ეკუთვნოდა MBev Holding AG-ს (2023 წლის 31 დეკემბერი: Marussia Beverages B.V.). კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანიაა Sastre Holding SA, შვეიცარიაში ინკორპორირებული კომპანია. კომპანიის დაფინანსების უმეტესი ნაწილი მოდის და საკრედიტო რისკები უკავშირდება Sastre Holding SA-ს ხელმძღვანელობით არსებული ჯგუფის სხვა ერთეულებს („აქციონერთა ჯგუფი"). შედეგად, კომპანია ეკონომიკურად დამოკიდებულია აქციონერთა ჯგუფზე. დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები გამჟღავნებულია მე-17 შენიშვნაში.

The Paulsen Familiae Foundation, ჯერსის კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრირებული იურიდიული პირი, საბოლოოდ აკონტროლებს კომპანიას. საბოლოო მაკონტროლებელი პირი არის დოქ. ფრედერიკ პაულსენი, როგორც პაულსენის ოჯახის ფონდის ძირითადი ბენეფიციარი.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ვაზის მოყვანა, ღვინის წარმოება და ვაჭრობა, ასევე ტურიზმი და სტუმართმოყვარეობა. კომპანიის მეღვინეობა მუხრანის რეგიონში მეღვინეობის ისტორიულ ტრადიციას ეფუძნება. 2007 წელს კომპანიის ახალ ღვინის ქარხანაში მნიშვნელოვანი ინვესტიცია განხორციელდა. ამჟამად ის ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით არის აღჭურვილი და შეესაბამება ISO 9001:2005 სურსათის უვნებლობისა და ISO 9001:2008 ხარისხის მართვის სტანდარტებს. 2007 წლიდან კომპანია ღვინოს საკუთარ ვენახებში მოკრეფილი ყურძნისგან აწარმოებს.

2023 წელს კომპანიამ დაასრულა ახალი ღონისძიებების დარბაზის მშენებლობა და შატო მუხრანში ფუნქციონირება დაიწყო. ახალი სივრცე გამოიყენება სხვადასხვა კორპორატიული და პირადი ღონისძიებებისა და ღვინის დეგუსტაციის ღონისძიებისთვის.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული ოფისია მუხრანი, მცხეთა, 3309, საქართველო. კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო.

წარდგენის ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში (ლარი), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანიის ბიზნეს ოპერაციები საქართველოში მიმდინარეობს. შესაბამისად, კომპანია დაქვემდებარებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებს, რომლებიც ავლენენ განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები განაგრძობენ განვითარებას, მაგრამ ექვემდებარებიან სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად ქმნის გამოწვევებს საქართველოში მოქმედი სუბიექტებისთვის.

ომი რუსეთსა და უკრაინას შორის. 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსეთის მნიშვნელოვანი სამხედრო ძალების მობილიზების შემდეგ, რუსულმა ჯარებმა გადაკვეთეს საზღვარი. საერთაშორისოდ აღიარებული სამხედრო აგრესია წარმოადგენს ყველაზე მასშტაბურ კონვენციურ სამხედრო თავდასხმას ევროპულ სახელმწიფოზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. აღნიშნულმა გამოიწვია ომის შემდგომ ევროპაში ლტოლვილთა უდიდესი კრისიზი, მილიონობით უკრაინელმა დატოვა ქვეყანა და სახლები. უკრაინაში ომის შედეგად, ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ გამოაცხადა მკაცრი ეკონომიკური სანქციები რუსეთის წინააღმდეგ. მრავალმა კომპანიამ შეწყვიტა ბიზნესი რუსეთსა და ბელარუსიაში. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და მატერიალური ეკონომიკური ზარალი უკრაინისთვის, რუსეთისთვის და დანარჩენი მსოფლიოსთვის. ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ამას არ ექნება

შესამჩნევი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე. ვინაიდან ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია საიმედოდ შეფასდეს სრული გავლენა, რაც შეიძლება ჰქონდეს კომპანიას, რადგან არსებობს განუსაზღვრელობა ზოგადად ეკონომიკაზე გავლენის მასშტაბთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობა მჭიდროდ აკვირდება ეკონომიკურ სიტუაციას მიმდინარე გარემოში.

ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენაზე კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. სამომავლო ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-თან შესაბამისობით მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისგან მსჯელობის გამოყენებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის მსჯელობას ან სირთულეს, ან სფეროები, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, გამჟღავნებულია მე-4 შენიშვნაში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის ფუნქციური ვალუტა და კომპანიის წარდგენის ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი („ლარი").

მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ფუნქციურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ") ოფიციალური გაცვლითი კურსით შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. სავალუტო მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ოპერაციების დაფარვიდან და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირებიდან თითოეული ერთეულის ფუნქციურ ვალუტაში სებ-ის წლის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსებით, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, როგორც საფინანსო შემოსავალი ან ხარჯი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო აშშ დოლარი („აშშ დოლარი") 1 = ლარი 2.8125 და ევრო („ევრო") 1 = ლარი 2.91093 (2023 წლის 31 დეკემბერი: აშშ დოლარი („აშშ დოლარი") 1 = ლარი 2.6894 და ევრო („ევრო") 1 = ლარი 2.9753). ამჟამად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ უმეტეს ქვეყანაში.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამი თვის ან ნაკლები თავდაპირველი ვადით. ფული და ფულის ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

შეზღუდული ნაშთები ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის არ შედის ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ჩამონათვალში. ნაშთები, რომელთა გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში, შედის სხვა გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები. სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება ოპერაციის ფასით. შემდგომში ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნებისა და გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ფორმირდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის ამოღებას თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები აღირიცხება თვითღირებულებით გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელსაც უკავშირდება წინასწარი გადახდა, მოსალოდნელია მიღებული

იქნეს ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შესაძენად წინასწარი გადახდები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როგორც კი კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში, როდესაც მიიღება საქონელი ან მომსახურება, რომელსაც უკავშირდება წინასწარი გადახდა. თუ არსებობს ნიშანი იმისა, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, რომელსაც უკავშირდება წინასწარი გადახდა, არ იქნება მიღებული, წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალო ღირებულების მეთოდით. მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ შრომას, სხვა პირდაპირ ხარჯებს და დაკავშირებულ საწარმოო ზედნადებ ხარჯებს (ნორმალური საოპერაციო სიმძლავრის საფუძველზე), მაგრამ არ მოიცავს ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ხარჯებს. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, გამოკლებული დასრულებისა და გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

მსხმოიარე მცენარეები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. ბიოლოგიური აქტივები მოიცავს მსხმოიარე მცენარეებს (ვენახებს), რომლებიც გამოიყენება წარმოებაში. მსხმოიარე მცენარეებზე მზარდი პროდუქცია (ყურძენი) წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას.

მსხმოიარე მცენარეები. მსხმოიარე მცენარეები (ვენახები) გამოიყენება მხოლოდ პროდუქციის (ყურძნის) მოსაყვანად. მსხმოიარე მცენარეებიდან ერთადერთი მნიშვნელოვანი მომავალი ეკონომიკური სარგებელი წარმოიქმნება მათ მიერ შექმნილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვიდან. მსხმოიარე მცენარეები აკმაყოფილებს ძირითადი საშუალებების განსაზღვრებას და აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და ღირებულების გაუფასურების ზარალის გამოკლებით, რადგან ამ ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულება ვერ განისაზღვრება საიმედოდ გადაჭარბებული დანახარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, რაც განპირობებულია აქტიური ბაზრის არარსებობით, საიმედო მტკიცებულებების ნაკლებობით შესადარისი საბაზრო ტრანზაქციების შესახებ და ვენახების შემოსავლიანობის ისტორიული მონაცემების შეზღუდული ხელმისაწვდომობით.

ბიოლოგიური აქტივების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა განაწილდეს დანახარჯები მინუს მათი ნარჩენი ღირებულება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. მსხმოიარე მცენარეების ცვეთა გამოითვლება 30 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადის საფუძველზე.

მსხმოიარე მცენარეები განვითარების პროცესში წარმოადგენს ვენახებს მათი სიმწიფის მიღწევამდე და მოსავლის მიღებამდე.

კომპანია გადახედავს მსხმოიარე მცენარეების ნარჩენ ღირებულებას, სასარგებლო მომსახურების ვადას და ცვეთის მეთოდს და, საჭიროების შემთხვევაში, ახდენს მათ კორექტირებას, თუ ბოლო საანგარიშგებო თარიღის შემდეგ გამოვლინდა ცვლილების საჭიროება.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. კომპანია მოკრეფილ ყურძენს კლასიფიცირებს როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას და ძირითადად იყენებს საკუთარი ღვინოების წარმოებისთვის. კომპანიის მსხმოიარე მცენარეებიდან მოკრეფილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, მოკრეფის მომენტში. საბაზრო ფასებზე დაფუძნებული სამართლიანი ღირებულება, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, მოკრეფის თარიღისთვის განიხილება როგორც პროდუქციის ღირებულება მარაგების აღრიცხვის მიზნებისთვის. შემდგომი გადაფასება არ ხდება.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი აღიარებისას წარმოქმნილი მოგება ან ზარალი სამართლიანი ღირებულებით, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ვენახის დანახარჯები მოიცავს წლის განმავლობაში ვენახის მოვლაზე გაწეულ ყველა ხარჯს (ვენახის

მოვლა-შენახვა, ყურძნის გამოზრდა და სხვა). პერიოდის მთლიანი ვენახის დანახარჯები აკლდება მოკრეფილი ყურძნის სამართლიან ღირებულებას და შედეგად მიღებული სამართლიანი ღირებულების მოგება ან ზარალი მოკრეფისას აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც განსაზღვრული იყო წინა ფასს-ის ფარგლებში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გამოყენებული იქნა როგორც პირობითი თვითღირებულება მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის, ვინაიდან ისინი ზოგადად შესადარისი იყო სამართლიან ღირებულებასთან 2021 წლის 1 იანვარს.

ძირითადი საშუალებები შემდგომში ფასდება თვითღირებულებით, გამოკლებული ნებისმიერი შემდგომი ცვეთა და გაუფასურება. თვითღირებულება მოიცავს მასალების ღირებულებას და პირდაპირ შრომას, ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან მათი დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის, ელემენტების დემონტაჟისა და მოცილების ხარჯებს და ტერიტორიის აღდგენის ხარჯებს, სადაც ისინი განთავსებულია.

შემდგომი ხარჯები ჩართულია აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია როგორც ცალკე აქტივი, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, როდესაც სავარაუდოა, რომ ელემენტთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და ელემენტის ღირებულება შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. მცირე რემონტისა და ყოველდღიური ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღიარდება ხარჯად მათი გაწევისას. ძირითადი საშუალებების ძირითადი ნაწილების ან კომპონენტების ჩანაცვლების ღირებულება კაპიტალიზდება და ჩანაცვლებული ნაწილი ამოიღება ექსპლუატაციიდან.

ცვეთა. მიწა არ ცვდება. სხვა აქტივების ცვეთა დაირიცხება ისე, რომ განაწილდეს აქტივების ღირებულება გამოკლებული მათი ნარჩენი ღირებულება მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ელემენტების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის შემდეგია:

• შენობა-ნაგებობები	20 წელი
• ქარხანა და აღჭურვილობა	5-30 წელი
• ავეჯი და საოფისე ტექნიკა	7-10 წელი
• სხვა აქტივები	5-10 წელი
• მსხმოიარე მცენარეები	30 წელი

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და კორექტირდება საჭიროებისამებრ.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოიქმნება, როდესაც კონტრაჰენტმა შეასრულა თავისი ვალდებულებები ხელშეკრულების ფარგლებში და აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ანარიცხები ვალდებულებებისა და დანახარჯებისთვის. ანარიცხები ვალდებულებებისა და დანახარჯებისთვის არის არაფინანსური ვალდებულებები გაურკვეველი ვადით ან თანხით. ისინი აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად, სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხები ფასდება იმ ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარად, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის სპეციფიკურ რისკებს. ანარიცხის ზრდა დროის გასვლის გამო აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი.

შემოსავალი. შემოსავალი მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში გაყიდული საქონლისთვის ან გაწეული მომსახურებისთვის მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას. შემოსავალი ნაჩვენებია გაყიდვების/დამატებული ღირებულების გადასახადის, დაბრუნებების, ფასდაკლებების და ფასდათმობების გამოკლებით.

კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც: შემოსავლის თანხა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს; სავარაუდოა, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა ერთეულში; და დაკმაყოფილებულია სპეციფიკური კრიტერიუმები კომპანიის თითოეული საქმიანობისთვის, როგორც აღწერილია ქვემოთ.

გაყიდული საქონელი. შემოსავალი აღიარდება, როდესაც კომპანია მიაწვდის დაპირებულ საქონელს მყიდველს. როდესაც კომპანია ასრულებს ვალდებულებას, კომპანია აღიარებს შემოსავლად ოპერაციის ფასის თანხას, რომელიც არ მოიცავს მესამე მხარეების სახელით შეგროვებულ თანხებს. შემოსავალი არის გაყიდვების ღირებულება გაყიდვებთან დაკავშირებული ფასდაკლებების და ფასდათმობების, დამატებული ღირებულების გადასახადისა და სხვა გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლების შემდეგ. მყიდველებისთვის ფასდათმობები გამოიქვითება შემოსავლიდან, სადაც გადახდილი თანხა დაკავშირებულია გაყიდვებთან.

მომსახურება. გაწეული მომსახურების (ღვინის ტურები, ღონისძიებები და რესტორნები) შემოსავალი აღირიცხება მომხმარებლისთვის მომსახურების მიწოდებისას. ასეთი კონტრაქტების თანახმად, კომპანია მოკლე დროში უზრუნველყოფს ღვინის ტურებთან, ღონისძიებებთან და რესტორნებთან დაკავშირებულ მომსახურებას და მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს ორგანიზაციის მიერ მოწოდებულ სარგებელს, როდესაც ორგანიზაცია ასრულებს მომსახურებას.

საფინანსო შემოსავალი და ხარჯები. კომპანიის საფინანსო შემოსავალი და საფინანსო ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო ხარჯი;
- ბანკის დეპოზიტებზე საპროცენტო შემოსავალი;
- ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების უცხოური ვალუტის მოგება ან ზარალი.

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

„ეფექტური საპროცენტო განაკვეთი" არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო მომავალ ფულად გადახდებს ან ჩარიცხვებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში:

- ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება; ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის გაანგარიშებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული) ან ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე. თუ აქტივი აღარ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გაანგარიშება უბრუნდება მთლიან საფუძველს.

სავალუტო მოგება და ზარალი წარმოდგენილია ნეტო საფუძველზე როგორც საფინანსო შემოსავალი ან საფინანსო ხარჯი, იმის მიხედვით, სავალუტო მოძრაობები ნეტო მოგების თუ ნეტო ზარალის პოზიციაშია.

თანამშრომელთა სარგებელი. მოკლევადიანი თანამშრომელთა სარგებელთან დაკავშირებული ვალდებულებები აღირიცხება დაუმოკლებლად და იხარჯება იმ მომენტში, როცა ხდება მომსახურება. ვალდებულება აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგებაზე დაყრდნობილი წახალისების გეგმების ფარგლებში, თუ ჯგუფს გააჩნია არსებული იურიდიული ან ფაქტობრივი (კონსტრუქტიული) ვალდებულება აღნიშნული თანხის გადასახდელად, გამომდინარე თანამშრომლის მიერ წარსულში გაწეული მომსახურებიდან და თუ აღნიშნული ვალდებულების ზუსტი შეფასება შესაძლებელია.

საწესდებო კაპიტალი.

ჩვეულებრივი აქციები. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციების და აქციების ოფციონების გამოშვებასთან უშუალოდ დაკავშირებული დამატებითი ხარჯები აღირიცხება კაპიტალიდან გამოქვითვად.

საწესდებო პრემია.. სააქციო კაპიტალის გაზრდისას, სააქციო კაპიტალის რეგისტრირებულ ოდენობასა და მიღებული ფაქტობრივი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობა აღირიცხება, როგორც საწესდებო პრემია.

მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი. მიმდინარე გადასახადი მოიცავს მოსალოდნელ გადასახდელ ან მისაღებ გადასახადს წლის დასაბეგრ მოგებაზე ან ზარალზე, საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი ან არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, და წინა წლების გადასახდელ გადასახადში ნებისმიერ კორექტირებას. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი ასევე მოიცავს ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდებიდან.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (ასევე ცნობილი როგორც კორპორაციული დაბეგვრის ესტონური მოდელი), რომელიც ძირითადად გადააქვს დაბეგვრის მომენტს დასაბეგრი მოგების მიღებიდან მათი განაწილების მომენტზე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებული საგადასახადო პერიოდებისთვის ყველა ერთეულისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორიცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომელთათვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

კორპორაციული მოგების გადასახადის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, არამედ მოგების გადასახადით დაბეგვრა გადატანილია მოგების მიღების მომენტიდან მათი განაწილების მომენტზე; ანუ დაბეგვრის ძირითადი ობიექტი არის განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც

აქციონერებისთვის დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას. თუმცა, ზოგიერთი სხვა ოპერაცია ასევე განიხილება როგორც განაწილებული მოგება, მაგალითად, არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან ასევე განიხილება როგორც განაწილებული მოგება მოგების გადასახადის მიზნებისთვის. გარდა ამისა, დაბეგვრის ობიექტი მოიცავს ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული ერთეულის ეკონომიკურ საქმიანობასთან, უსასყიდლო მიწოდებას და ზედმეტ წარმომადგენლობით ხარჯებს.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია მიმდინარე გადასახადისთვის, რომელიც გადახდილია გაუნაწილებელ მოგებაზე 2008-2016 წლებში, თუ ეს მოგება განაწილდება 2018 ან შემდგომ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდება, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომლისთვისაც იხდება დივიდენდები.

გადავადებული გადასახადი. ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ბუნების გამო, საქართველოში რეგისტრირებულ ერთეულებს არ აქვთ რაიმე განსხვავება აქტივების საგადასახადო ბაზებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის და, შესაბამისად, არ წარმოიქმნება გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

წინა პერიოდებში დაგროვილი საგადასახადო ზარალი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მომავალი დასაბეგრი მოგების წინააღმდეგ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

საოპერაციო იჯარა. როდესაც კომპანია არის მოიჯარე იჯარაში, რომელიც არ გადასცემს არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, რომლებიც დაკავშირებულია საკუთრებასთან მეიჯარედან კომპანიას, მთლიანი საიჯარო გადახდები აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში იჯარის ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით. იჯარის ვადა არის შეუქცევადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს ხელშეკრულებით აღებული ვალდებულება იჯარით აიღოს აქტივი, დამატებული ნებისმიერი შემდგომი ვადა, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს უფლება გააგრძელოს აქტივის იჯარა, დამატებითი გადახდით ან მის გარეშე, როდესაც იჯარის დაწყებისას გონივრულად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას.
სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარდება ოპერაციის ფასით (ანუ მსესხებლისთვის გადასახდელი ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, ოპერაციის დანახარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომ აისახება ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და შედის ფინანსურ დანახარჯებში.
სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ კომპანიას არ აქვს უპირობო უფლება გადადოს ვალდებულების დაფარვა საანგარიშგებო თარიღიდან მინიმუმ 12 თვით.

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობები მუდმივად ფასდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც მიჩნეულია გონივრულად არსებულ გარემოებებში.

გაგრძელებადობის პრინციპით აღრიცხვა
რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინაში ბოლო დროს გააქტიურებულ სამხედრო ოპერაციებს მოჰყვა ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირის და სხვა ქვეყნების მიერ რუსეთის ფედერაციისა და ბელარუსის მიმართ მკაცრი სანქციების დაწესება. ისტორიულად, კომპანიის გაყიდვების დაახლოებით 45-55% დსთ-ს ბაზრებზე, მათ შორის რუსეთზე, უკრაინასა და ბელარუსზე მოდიოდა.

მიუხედავად მიმდინარე ომისა, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არ არსებობს საგრძნობი გაურკვევლობა ჯგუფის საქმიანობის გაგრძელებასთან დაკავშირებით. მენეჯმენტის ეს შეფასება ეფუძნება ძირითადად შემდეგ გარემოებებს:

- მფლობელი სისტემატურად ახორციელებდა კაპიტალის ინვესტირებას: კომპანიის ძირითადი დაფინანსება ხორციელდება ნაღდი ფულადი სახსრებით განხორციელებული კაპიტალის შენატანების გზით. აღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ მფლობელი მტკიცედ არის ერთგული კომპანიის ბიზნესის განვითარების მიმართ.
- რეგიონში ბოლო დროს განვითარებული სამხედრო ესკალაციის მიუხედავად, საბოლოო კონტროლმა მხარემ (UCP) გამოთქვა განზრახვა, უახლოეს მომავალში კომპანიას გაუწიოს ფინანსური და სხვა სახის მხარდაჭერა, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ კომპანიამ გააგრძელოს ფუნქციონირება და შეძლოს თავისი აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების შესრულება საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას.
- 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ გააჩნია დავალიანება და აქვს წმინდა მიმდინარე აქტივები. ამ ვითარებაში მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანია შეძლებს დავალიანების დაფარვას.
- საშუალოვადიან პერსპექტივაში, მენეჯმენტი გეგმავს ფოკუსირება მოახდინოს თავისი გეოგრაფიული პროფილის დივერსიფიკაციაზე ევროპისა და აზიის ბაზრებზე შესვლით, რათა შეამციროს დსთ-ს რეგიონზე მომავალი დამოკიდებულება.

ზემოთ აღნიშნულ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული გაურკვევლობების პოტენციური ზემოქმედების მასშტაბების, მათ შორის გამჟღავნებული შემამსუბუქებელი ფაქტორების გათვალისწინებით, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არ არსებობს არსებითი გაურკვევლობა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარში და, შესაბამისად, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადდა მიმდინარე საქმიანობის საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების, მოწყობილობების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების, მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების ერთეულის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება არის ხელმძღვანელობის მსჯელობის საკითხი, რომელიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ გამოყენებას, შეფასებულ ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და ფიზიკურ გარემოს, რომელშიც აქტივი ფუნქციონირებს. ამ პირობების ან შეფასებების ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთების კორექტირება.

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამართლიანი ღირებულება მოსავლის აღების დროს. მოსავლის აღების დროს, კომპანიის ყურძენი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, გამოკლებული გაყიდვის დანახარჯები. სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამართლიანი ღირებულება გამოკლებული შეფასებული გაყიდვის დანახარჯები მოსავლის აღების დროს განისაზღვრება ადგილობრივ რეგიონში ყურძნის საბაზრო ფასების მიხედვით მოსავლის აღების დროს, გამოკლებული შეფასებული გაყიდვის დანახარჯები (განსაზღვრული შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე). სამართლიანი ღირებულება გამოკლებული შეფასებული გაყიდვის დანახარჯები განისაზღვრება გადასახადებამდე.
მნიშვნელოვანი დაშვებები კეთდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას, შემდეგნაირად:

- ადგილობრივ რეგიონში არსებობს ყურძნის აქტიური ბაზარი და ეს ფასები ადვილად ხელმისაწვდომია.

იმის გამო, რომ კომპანია ღვინის პროდუქტებს მხოლოდ საკუთარი წარმოების ყურძნით აწარმოებს და არ არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი ყურძნის სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, წარმოებული ყურძნის ღირებულება ყურძნის სამართლიან ღირებულებად ითვლება.
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება. დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი ეფუძნება კომპანიის შეფასებას კონკრეტული მომხმარებლის ანგარიშების ამოღებადობაზე. თუ ძირითადი მომხმარებლის კრედიტუნარიანობა გაუარესდება ან ფაქტობრივი დეფოლტები აღემატება შეფასებებს, ფაქტობრივი დებიტორული დავალიანება შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან. თუ კომპანია განსაზღვრავს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გაუფასურება დადგა ინდივიდუალურად შეფასებული დებიტორული დავალიანებისთვის, მნიშვნელოვანი იქნება ეს თუ არა, ის რთავს დებიტორულ დავალიანებას მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე დებიტორული დავალიანებების ჯგუფში და კოლექტიურად აფასებს მათ გაუფასურებაზე.
გაუფასურების კოლექტიური შეფასების მიზნებისთვის, დებიტორული დავალიანება ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ეს მახასიათებლები შესაბამისია ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისთვის, რადგან ისინი მიუთითებს მოვალეების უნარზე გადაიხადონ ყველა თანხა შეფასებული აქტივების სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად. სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც შეფასებულია, რომ არ არის გაუფასურებული ინდივიდუალურად, ფასდება კოლექტიურად გაუფასურებაზე ჯგუფის ისტორიული ამოღების გამოცდილების მითითებით მსგავსი ხნოვანების მოთხოვნებისთვის. სავაჭრო მოთხოვნების წინააღმდეგ რეზერვები კეთდება კონკრეტული ხნოვანების კატეგორიაში ანგარიშებიდან ამოღების დონეების ისტორიული გამოცდილების საფუძველზე. გაუფასურების რეზერვის ღირებულება მგრძნობიარეა გამოყენებული სპეციფიკური პროცენტების მიმართ.

ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებებისგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება გადაიხედოს მომავალში, უარყოფითად ან დადებითად, იმის მიხედვით, თუ რა იქნება შედეგი ან მოლოდინები თითოეული რისკის ირგვლივ არსებული ფაქტების საფუძველზე.

5. შემოსავალი

პირველადი გეოგრაფიული ბაზრები

ათას ლარში	2024	2023
საქართველო	8,375	8,388
რუსეთის ფედერაცია	2,666	1,883
უკრაინა	482	320
ჩინეთი	215	1,510
არაბთა გაერთიანებული საამიროები	164	166
ბელარუსია	25	-
ლაოსი	-	175
სხვა	733	449
სულ შემოსავალი	**12,660**	**12,891**

ძირითადი შემოსავლის წყაროები

ათას ლარში	2024	2023
შემოსავალი ღვინის გაყიდვებიდან	6,443	6,786
შემოსავალი ღვინის ტურებიდან და ღონისძიებებიდან	5,358	5,148
შემოსავალი სპირტიანი სასმელების გაყიდვებიდან	747	844
სხვა შემოსავლები	112	113
სხვა შემოსავალი	**12,660**	**12,891**

6. ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები

ათას ლარში	2024	2023
ხელფასები	1,534	1,624
ცვეთა	1,178	995
შემოსავლის გარდა სხვა გადასახადი	444	367
რეონტი და ტექმომსახურება	213	133
საკონსულტაციო ხარჯები	122	88
ქონების მოვლა და საოფისე ინვენტარი	63	69
წარმომადგენლობის ხარჯები	48	39
მართვის მომსახურების საფასური	43	75
მოგზაურობა და განთავსება	36	87
კომუნიკაცია	31	29
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	875	624
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	**4,587**	**4,130**

6. ხარჯები (გაგრძელება)

გაყიდვების და დისტრიბუციის ხარჯები

ათას ლარში	**2024**	**2023**
ქირა	105	104
ხელფასები	63	44
ტვირთის ღირებულება	29	57
დეგუსტაცია	2	6
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	90	101
სულ გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯები	**289**	**312**

მარკეტინგის ხარჯები

ათას ლარში	**2024**	**2023**
რეკლამა და პოპულარიზაცია	378	449
ხელფასები	107	65
სხვა	18	25
სულ მარკეტინგის ხარჯები	**503**	**539**

7. საფინანსო შემოსავლები და ხარჯები

ათას ლარში	**2024**	**2023**
წმინდა სავალუტო მოგება	-	67
საპროცენტო შემოსავალი	124	-
სულ საფინანსო შემოსავალი	**124**	**67**
წმინდა უცხოური სავალუტო ზარალი	(212)	-
სულ საფინანსო ხარჯები	**(212)**	**-**

8. ძირითადი საშუალებები

ათას ლარში	მიწა	შენობა ნაგებობები	მშენებარე	დანადგარები და აღჭურვილობა	ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	სხვა აქტივები	მსხმოიარე მცენარეები	სულ
სავარაუდო ღირებულება								
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	11,902	16,231	16,451	7,355	5,427	4,145	322	61,833
დამატებები	-	-	5,889	547	328	815	114	7,693
გასხვისება	-	(7)	-	-	-	(95)	-	(102)
შიდა ტრანსფერი	-	7,679	(7,679)	-	-	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**11,902**	**23,903**	**14,661**	**7,902**	**5,755**	**4,865**	**436**	**69,424**
დამატებები	-	113	2,775	438	41	1,065	-	4,432
გასხვისება	(152)	(3)	(48)	(122)	-	(19)	-	(344)
შიდა ტრანსფერი	-	3,516	(3,516)	-	-	-	-	-
კლასიფიკაციის კორექტირება	-	601	-	-	(1,854)	1,253	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	**11,750**	**28,130**	**13,872**	**8,218**	**3,942**	**7,164**	**436**	**73,512**
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება								
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	698	259	8,294	1,436	716	750	43	12,196
ცვეთა წლის განმავლობაში	-	472	-	620	82	728	33	1,935
ცვეთა გასხვისებაზე	-	(7)	-	-	-	(86)	-	(93)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**698**	**724**	**8,294**	**2,056**	**798**	**1,392**	**76**	**14,038**
ცვეთა წლის განმავლობაში	-	564	-	723	80	723	33	2,123
ცვეთა გასხვისებაზე	-	-	-	(103)	-	(19)	-	(122)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	**698**	**1,288**	**8,294**	**2,676**	**878**	**2,096**	**109**	**16,039**
საბალანსო ღირებულება								
2023 წლის 1 იანვარს	11,204	15,972	8,157	5,919	4,711	3,395	279	49,637
2023 წლის 31 დეკემბერს	11,204	23,179	6,367	5,846	4,957	3,473	360	55,386
2024 წლის 31 დეკემბერს	**11,052**	**26,842**	**5,578**	**5,542**	**3,064**	**5,068**	**327**	**57,473**

2024 წელს გაყიდული საქონლის ღირებულებას 538 ათასი ლარის ოდენობის ამორტიზაციის ხარჯი დაერიცხა (2023: 940 ათასი ლარი).

8. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

მშენებარე ძირითადი საშუალებები და არასაბრუნავი აქტივების წინასწარი გადახდები

მშენებლობის პროცესშია სხვადასხვა ობიექტის განვითარებისთვის გაწეული კაპიტალური ხარჯები, როგორიცაა: მუხრანბატონის სასახლის („სასახლე“) გარე სივრცის გაუმჯობესება, ახალი მეღვინეობა და ვიზიტორთა ცენტრი; და გარე ქსელების გაუმჯობესება სტუმართმოყვარეობის ბიზნესისა და ვენახების ზრდის მხარდასაჭერად. 2023 წლის განმავლობაში სასახლე და ორანჟერეა დასრულდა და მშენებარეობიდან შენობების ჯგუფში გადავიდა, ხოლო კომპანიამ დაიწყო ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა და გარე კეთილმოწყობის სამუშაოები.
მშენებარე ქონება აღირიცხება თვითღირებულებით. თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის, კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ თვითღირებულებით აღრიცხული ქონების ანაზღაურებადი ღირებულება შემცირდა საბალანსო ღირებულებაზე დაბლა ან ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი ექვემდებარება აღდგენას.
2024 წლის განმავლობაში, მენეჯმენტმა გადახედა და შესაბამისად შეასწორა ძირითადი საშუალებების სასარგებლო ვადები ჩატარებული ტექნიკური შემოწმებისა და ეკონომიკური მდგომარეობის დაკვირვების საფუძველზე.
2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არამიმდინარე აქტივებზე წინასწარ გადახდილი თანხები ძირითადად წარმოადგენს სხვადასხვა კომპანიისთვის წინასწარ გადახდილ თანხებს გარე ქსელების გაუმჯობესების რეკონსტრუქციისა და მშენებლობისთვის.

9. სხვა გრძელვადიანი აქტივები

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები. სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება ოპერაციის ფასით. შემდგომში ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნებისა და გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ფორმირდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის ამოღებას თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები აღირიცხება თვითღირებულებით გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელსაც უკავშირდება წინასწარი გადახდა, მოსალოდნელია მიღებული

იქნეს ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შესაძენად წინასწარი გადახდები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როგორც კი კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში, როდესაც მიიღება საქონელი ან მომსახურება, რომელსაც უკავშირდება წინასწარი გადახდა. თუ არსებობს ნიშანი იმისა, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, რომელსაც უკავშირდება წინასწარი გადახდა, არ იქნება მიღებული, წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალო ღირებულების მეთოდით. მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ შრომას, სხვა პირდაპირ ხარჯებს და დაკავშირებულ საწარმოო ზედნადებ ხარჯებს (ნორმალური საოპერაციო სიმძლავრის საფუძველზე), მაგრამ არ მოიცავს ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ხარჯებს. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, გამოკლებული დასრულებისა და გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

მსხმოიარე მცენარეები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. ბიოლოგიური აქტივები მოიცავს მსხმოიარე მცენარეებს (ვენახებს), რომლებიც გამოიყენება წარმოებაში. მსხმოიარე მცენარეებზე მზარდი პროდუქცია (ყურძენი) წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას.

მსხმოიარე მცენარეები. მსხმოიარე მცენარეები (ვენახები) გამოიყენება მხოლოდ პროდუქციის (ყურძნის) მოსაყვანად. მსხმოიარე მცენარეებიდან ერთადერთი მნიშვნელოვანი მომავალი ეკონომიკური სარგებელი წარმოიქმნება მათ მიერ შექმნილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვიდან. მსხმოიარე მცენარეები აკმაყოფილებს ძირითადი საშუალებების განსაზღვრებას და აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და ღირებულების გაუფასურების ზარალის გამოკლებით, რადგან ამ ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულება ვერ განისაზღვრება საიმედოდ გადაჭარბებული დანახარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, რაც განპირობებულია აქტიური ბაზრის არარსებობით, საიმედო მტკიცებულებების ნაკლებობით შესადარისი საბაზრო ტრანზაქციების შესახებ და ვენახების შემოსავლიანობის ისტორიული მონაცემების შეზღუდული ხელმისაწვდომობით.

ბიოლოგიური აქტივების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა განაწილდეს დანახარჯები მინუს მათი ნარჩენი ღირებულება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. მსხმოიარე მცენარეების ცვეთა გამოითვლება 30 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადის საფუძველზე.

მსხმოიარე მცენარეები განვითარების პროცესში წარმოადგენს ვენახებს მათი სიმწიფის მიღწევამდე და მოსავლის მიღებამდე.

კომპანია გადახედავს მსხმოიარე მცენარეების ნარჩენ ღირებულებას, სასარგებლო მომსახურების ვადას და ცვეთის მეთოდს და, საჭიროების შემთხვევაში, ახდენს მათ კორექტირებას, თუ ბოლო საანგარიშგებო თარიღის შემდეგ გამოვლინდა ცვლილების საჭიროება.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. კომპანია მოკრეფილ ყურძენს კლასიფიცირებს როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას და ძირითადად იყენებს საკუთარი ღვინოების წარმოებისთვის. კომპანიის მსხმოიარე მცენარეებიდან მოკრეფილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, მოკრეფის მომენტში. საბაზრო ფასებზე დაფუძნებული სამართლიანი ღირებულება, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, მოკრეფის თარიღისთვის განიხილება როგორც პროდუქციის ღირებულება მარაგების აღრიცხვის მიზნებისთვის. შემდგომი გადაფასება არ ხდება.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი აღიარებისას წარმოქმნილი მოგება ან ზარალი სამართლიანი ღირებულებით, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ვენახის დანახარჯები მოიცავს წლის განმავლობაში ვენახის მოვლაზე გაწეულ ყველა ხარჯს (ვენახის

მოვლა-შენახვა, ყურძნის გამოზრდა და სხვა). პერიოდის მთლიანი ვენახის დანახარჯები აკლდება მოკრეფილი ყურძნის სამართლიან ღირებულებას და შედეგად მიღებული სამართლიანი ღირებულების მოგება ან ზარალი მოკრეფისას აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც განსაზღვრული იყო წინა ფასს-ის ფარგლებში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გამოყენებული იქნა როგორც პირობითი თვითღირებულება მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის, ვინაიდან ისინი ზოგადად შესადარისი იყო სამართლიან ღირებულებასთან 2021 წლის 1 იანვარს.

ძირითადი საშუალებები შემდგომში ფასდება თვითღირებულებით, გამოკლებული ნებისმიერი შემდგომი ცვეთა და გაუფასურება. თვითღირებულება მოიცავს მასალების ღირებულებას და პირდაპირ შრომას, ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან მათი დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის, ელემენტების დემონტაჟისა და მოცილების ხარჯებს და ტერიტორიის აღდგენის ხარჯებს, სადაც ისინი განთავსებულია.

შემდგომი ხარჯები ჩართულია აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია როგორც ცალკე აქტივი, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, როდესაც სავარაუდოა, რომ ელემენტთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და ელემენტის ღირებულება შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. მცირე რემონტისა და ყოველდღიური ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღიარდება ხარჯად მათი გაწევისას. ძირითადი საშუალებების ძირითადი ნაწილების ან კომპონენტების ჩანაცვლების ღირებულება კაპიტალიზდება და ჩანაცვლებული ნაწილი ამოიღება ექსპლუატაციიდან.

ცვეთა. მიწა არ ცვდება. სხვა აქტივების ცვეთა დაირიცხება ისე, რომ განაწილდეს აქტივების ღირებულება გამოკლებული მათი ნარჩენი ღირებულება მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ელემენტების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის შემდეგია:

• შენობა-ნაგებობები	20 წელი
• ქარხანა და აღჭურვილობა	5-30 წელი
• ავეჯი და საოფისე ტექნიკა	7-10 წელი
• სხვა აქტივები	5-10 წელი
• მსხმოიარე მცენარეები	30 წელი

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და კორექტირდება საჭიროებისამებრ.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოიქმნება, როდესაც კონტრაჰენტმა შეასრულა თავისი ვალდებულებები ხელშეკრულების ფარგლებში და აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ანარიცხები ვალდებულებებისა და დანახარჯებისთვის. ანარიცხები ვალდებულებებისა და დანახარჯებისთვის არის არაფინანსური ვალდებულებები გაურკვეველი ვადით ან თანხით. ისინი აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად, სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხები ფასდება იმ ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარად, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის სპეციფიკურ რისკებს. ანარიცხის ზრდა დროის გასვლის გამო აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი.

შემოსავალი. შემოსავალი მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში გაყიდული საქონლისთვის ან გაწეული მომსახურებისთვის მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას. შემოსავალი ნაჩვენებია გაყიდვების/დამატებული ღირებულების გადასახადის, დაბრუნებების, ფასდაკლებების და ფასდათმობების გამოკლებით.

კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც: შემოსავლის თანხა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს; სავარაუდოა, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა ერთეულში; და დაკმაყოფილებულია სპეციფიკური კრიტერიუმები კომპანიის თითოეული საქმიანობისთვის, როგორც აღწერილია ქვემოთ.

გაყიდული საქონელი. შემოსავალი აღიარდება, როდესაც კომპანია მიაწვდის დაპირებულ საქონელს მყიდველს. როდესაც კომპანია ასრულებს ვალდებულებას, კომპანია აღიარებს შემოსავლად ოპერაციის ფასის თანხას, რომელიც არ მოიცავს მესამე მხარეების სახელით შეგროვებულ თანხებს. შემოსავალი არის გაყიდვების ღირებულება გაყიდვებთან დაკავშირებული ფასდაკლებების და ფასდათმობების, დამატებული ღირებულების გადასახადისა და სხვა გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლების შემდეგ. მყიდველებისთვის ფასდათმობები გამოიქვითება შემოსავლიდან, სადაც გადახდილი თანხა დაკავშირებულია გაყიდვებთან.

მომსახურება. გაწეული მომსახურების (ღვინის ტურები, ღონისძიებები და რესტორნები) შემოსავალი აღირიცხება მომხმარებლისთვის მომსახურების მიწოდებისას. ასეთი კონტრაქტების თანახმად, კომპანია მოკლე დროში უზრუნველყოფს ღვინის ტურებთან, ღონისძიებებთან და რესტორნებთან დაკავშირებულ მომსახურებას და მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს ორგანიზაციის მიერ მოწოდებულ სარგებელს, როდესაც ორგანიზაცია ასრულებს მომსახურებას.

საფინანსო შემოსავალი და ხარჯები. კომპანიის საფინანსო შემოსავალი და საფინანსო ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო ხარჯი;
- ბანკის დეპოზიტებზე საპროცენტო შემოსავალი;
- ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების უცხოური ვალუტის მოგება ან ზარალი.

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

„ეფექტური საპროცენტო განაკვეთი" არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო მომავალ ფულად გადახდებს ან ჩარიცხვებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში:

- ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება; ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის გაანგარიშებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული) ან ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე. თუ აქტივი აღარ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გაანგარიშება უბრუნდება მთლიან საფუძველს.

სავალუტო მოგება და ზარალი წარმოდგენილია ნეტო საფუძველზე როგორც საფინანსო შემოსავალი ან საფინანსო ხარჯი, იმის მიხედვით, სავალუტო მოძრაობები ნეტო მოგების თუ ნეტო ზარალის პოზიციაშია.

თანამშრომელთა სარგებელი. მოკლევადიანი თანამშრომელთა სარგებელთან დაკავშირებული ვალდებულებები აღირიცხება დაუმოკლებლად და იხარჯება იმ მომენტში, როცა ხდება მომსახურება. ვალდებულება აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგებაზე დაყრდნობილი წახალისების გეგმების ფარგლებში, თუ ჯგუფს გააჩნია არსებული იურიდიული ან ფაქტობრივი (კონსტრუქტიული) ვალდებულება აღნიშნული თანხის გადასახდელად, გამომდინარე თანამშრომლის მიერ წარსულში გაწეული მომსახურებიდან და თუ აღნიშნული ვალდებულების ზუსტი შეფასება შესაძლებელია.

საწესდებო კაპიტალი.

ჩვეულებრივი აქციები. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციების და აქციების ოფციონების გამოშვებასთან უშუალოდ დაკავშირებული დამატებითი ხარჯები აღირიცხება კაპიტალიდან გამოქვითვად.

საწესდებო პრემია.. სააქციო კაპიტალის გაზრდისას, სააქციო კაპიტალის რეგისტრირებულ ოდენობასა და მიღებული ფაქტობრივი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობა აღირიცხება, როგორც საწესდებო პრემია.

მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი. მიმდინარე გადასახადი მოიცავს მოსალოდნელ გადასახდელ ან მისაღებ გადასახადს წლის დასაბეგრ მოგებაზე ან ზარალზე, საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი ან არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, და წინა წლების გადასახდელ გადასახადში ნებისმიერ კორექტირებას. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი ასევე მოიცავს ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდებიდან.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (ასევე ცნობილი როგორც კორპორაციული დაბეგვრის ესტონური მოდელი), რომელიც ძირითადად გადააქვს დაბეგვრის მომენტს დასაბეგრი მოგების მიღებიდან მათი განაწილების მომენტზე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებული საგადასახადო პერიოდებისთვის ყველა ერთეულისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორიცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომელთათვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

კორპორაციული მოგების გადასახადის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, არამედ მოგების გადასახადით დაბეგვრა გადატანილია მოგების მიღების მომენტიდან მათი განაწილების მომენტზე; ანუ დაბეგვრის ძირითადი ობიექტი არის განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც

აქციონერებისთვის დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას. თუმცა, ზოგიერთი სხვა ოპერაცია ასევე განიხილება როგორც განაწილებული მოგება, მაგალითად, არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან ასევე განიხილება როგორც განაწილებული მოგება მოგების გადასახადის მიზნებისთვის. გარდა ამისა, დაბეგვრის ობიექტი მოიცავს ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული ერთეულის ეკონომიკურ საქმიანობასთან, უსასყიდლო მიწოდებას და ზედმეტ წარმომადგენლობით ხარჯებს.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია მიმდინარე გადასახადისთვის, რომელიც გადახდილია გაუნაწილებელ მოგებაზე 2008-2016 წლებში, თუ ეს მოგება განაწილდება 2018 ან შემდგომ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდება, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომლისთვისაც იხდება დივიდენდები.

გადავადებული გადასახადი. ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ბუნების გამო, საქართველოში რეგისტრირებულ ერთეულებს არ აქვთ რაიმე განსხვავება აქტივების საგადასახადო ბაზებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის და, შესაბამისად, არ წარმოიქმნება გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

წინა პერიოდებში დაგროვილი საგადასახადო ზარალი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მომავალი დასაბეგრი მოგების წინააღმდეგ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

საოპერაციო იჯარა. როდესაც კომპანია არის მოიჯარე იჯარაში, რომელიც არ გადასცემს არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, რომლებიც დაკავშირებულია საკუთრებასთან მეიჯარედან კომპანიას, მთლიანი საიჯარო გადახდები აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში იჯარის ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით. იჯარის ვადა არის შეუქცევადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს ხელშეკრულებით აღებული ვალდებულება იჯარით აიღოს აქტივი, დამატებული ნებისმიერი შემდგომი ვადა, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს უფლება გააგრძელოს აქტივის იჯარა, დამატებითი გადახდით ან მის გარეშე, როდესაც იჯარის დაწყებისას გონივრულად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარდება ოპერაციის ფასით (ანუ მსესხებლისთვის გადასახდელი ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, ოპერაციის დანახარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომ აისახება ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და შედის ფინანსურ დანახარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ კომპანიას არ აქვს უპირობო უფლება გადადოს ვალდებულების დაფარვა საანგარიშგებო თარიღიდან მინიმუმ 12 თვით.

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობები მუდმივად ფასდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც მიჩნეულია გონივრულად არსებულ გარემოებებში.

გაგრძელებადობის პრინციპით აღრიცხვა

რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინაში ბოლო დროს გააქტიურებულ სამხედრო ოპერაციებს მოჰყვა ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირის და სხვა ქვეყნების მიერ რუსეთის ფედერაციისა და ბელარუსის მიმართ მკაცრი სანქციების დაწესება. ისტორიულად, კომპანიის გაყიდვების დაახლოებით 45-55% დსთ-ს ბაზრებზე, მათ შორის რუსეთზე, უკრაინასა და ბელარუსზე მოდიოდა.

მიუხედავად მიმდინარე ომისა, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არ არსებობს საგრძნობი გაურკვევლობა ჯგუფის საქმიანობის გაგრძელებასთან დაკავშირებით. მენეჯმენტის ეს შეფასება ეფუძნება ძირითადად შემდეგ გარემოებებს:

- მფლობელი სისტემატურად ახორციელებდა კაპიტალის ინვესტირებას: კომპანიის ძირითადი დაფინანსება ხორციელდება ნაღდი ფულადი სახსრებით განხორციელებული კაპიტალის შენატანების გზით. აღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ მფლობელი მტკიცედ არის ერთგული კომპანიის ბიზნესის განვითარების მიმართ.

- რეგიონში ბოლო დროს განვითარებული სამხედრო ესკალაციის მიუხედავად, საბოლოო კონტროლმა მხარემ (UCP) გამოთქვა განზრახვა, უახლოეს მომავალში კომპანიას გაუწიოს ფინანსური და სხვა სახის მხარდაჭერა, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ კომპანიამ გააგრძელოს ფუნქციონირება და შეძლოს თავისი აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების შესრულება საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას.

- 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ გააჩნია დავალიანება და აქვს წმინდა მიმდინარე აქტივები. ამ ვითარებაში მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანია შეძლებს დავალიანების დაფარვას.

- საშუალოვადიან პერსპექტივაში, მენეჯმენტი გეგმავს ფოკუსირება მოახდინოს თავისი გეოგრაფიული პროფილის დივერსიფიკაციაზე ევროპისა და აზიის ბაზრებზე შესვლით, რათა შეამციროს დსთ-ს რეგიონზე მომავალი დამოკიდებულება.

ზემოთ აღნიშნულ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული გაურკვევლობების პოტენციური ზემოქმედების მასშტაბების, მათ შორის გამჟღავნებული შემამსუბუქებელი ფაქტორების გათვალისწინებით, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არ არსებობს არსებითი გაურკვევლობა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარში და, შესაბამისად, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადდა მიმდინარე საქმიანობის საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების, მოწყობილობების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების, მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების ერთეულის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება არის ხელმძღვანელობის მსჯელობის საკითხი, რომელიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ გამოყენებას, შეფასებულ ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და ფიზიკურ გარემოს, რომელშიც აქტივი ფუნქციონირებს. ამ პირობების ან შეფასებების ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთების კორექტირება.

4. კრიტიკული საღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები საღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამართლიანი ღირებულება მოსავლის აღების დროს. მოსავლის აღების დროს, კომპანიის ყურძენი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, გამოკლებული გაყიდვის დანახარჯები. სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამართლიანი ღირებულება გამოკლებული შეფასებული გაყიდვის დანახარჯები მოსავლის აღების დროს განისაზღვრება ადგილობრივ რეგიონში ყურძნის საბაზრო ფასების მიხედვით მოსავლის აღების დროს, გამოკლებული შეფასებული გაყიდვის დანახარჯები (განსაზღვრული შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე). სამართლიანი ღირებულება გამოკლებული შეფასებული გაყიდვის დანახარჯები განისაზღვრება გადასახადებამდე.
მნიშვნელოვანი დაშვებები კეთდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას, შემდეგნაირად:

- ადგილობრივ რეგიონში არსებობს ყურძნის აქტიური ბაზარი და ეს ფასები ადვილად ხელმისაწვდომია.

იმის გამო, რომ კომპანია ღვინის პროდუქტებს მხოლოდ საკუთარი წარმოების ყურძნით აწარმოებს და არ არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი ყურძნის სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, წარმოებული ყურძნის ღირებულება ყურძნის სამართლიან ღირებულებად ითვლება.
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება. დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი ეფუძნება კომპანიის შეფასებას კონკრეტული მომხმარებლის აწგარიშების ამოღებადობაზე. თუ ძირითადი მომხმარებლის კრედიტუნარიანობა გაუარესდება ან ფაქტობრივი დეფოლტები აღემატება შეფასებებს, ფაქტობრივი დებიტორული დავალიანება შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან. თუ კომპანია განსაზღვრავს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გაუფასურება დადგა ინდივიდუალურად შეფასებული დებიტორული დავალიანებისთვის, მნიშვნელოვანი იქნება ეს თუ არა, ის რთავს დებიტორულ დავალიანებას მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე დებიტორული დავალიანებების ჯგუფში და კოლექტიურად აფასებს მათ გაუფასურებაზე.
გაუფასურების კოლექტიური შეფასების მიზნებისთვის, დებიტორული დავალიანება ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ეს მახასიათებლები შესაბამისია ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისთვის, რადგან ისინი მიუთითებს მოვალეების უნარზე გადაიხადონ ყველა თანხა შეფასებული აქტივების სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად. სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც შეფასებულია, რომ არ არის გაუფასურებული ინდივიდუალურად, ფასდება კოლექტიურად გაუფასურებაზე ჯგუფის ისტორიული ამოღების გამოცდილების მითითებით მსგავსი ხნოვანების მოთხოვნებისთვის. სავაჭრო მოთხოვნების წინააღმდეგ რეზერვები კეთდება კონკრეტული ხნოვანების კატეგორიაში აწგარიშებიდან ამოღების დონეების ისტორიული გამოცდილების საფუძველზე. გაუფასურების რეზერვის ღირებულება მგრძნობიარეა გამოყენებული სპეციფიკური პროცენტების მიმართ.

ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებებისგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება გადაიხედოს მომავალში, უარყოფითად ან დადებითად, იმის მიხედვით, თუ რა იქნება შედეგი ან მოლოდინები თითოეული რისკის ირგვლივ არსებული ფაქტების საფუძველზე.

5. შემოსავალი

პირველადი გეოგრაფიული ბაზრები

ათას ლარში	2024	2023
საქართველო	8,375	8,388
რუსეთის ფედერაცია	2,666	1,883
უკრაინა	482	320
ჩინეთი	215	1,510
არაბთა გაერთიანებული საამიროები	164	166
ბელარუსია	25	-
ლაოსი	-	175
სხვა	733	449
სულ შემოსავალი	**12,660**	**12,891**

ძირითადი შემოსავლის წყაროები

ათას ლარში	2024	2023
შემოსავალი ღვინის გაყიდვებიდან	6,443	6,786
შემოსავალი ღვინის ტურებიდან და ღონისძიებებიდან	5,358	5,148
შემოსავალი სპირტიანი სასმელების გაყიდვებიდან	747	844
სხვა შემოსავლები	112	113
სხვა შემოსავალი	**12,660**	**12,891**

6. ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები

ათას ლარში	2024	2023
ხელფასები	1,534	1,624
ცვეთა	1,178	995
შემოსავლის გარდა სხვა გადასახადი	444	367
რეონტი და ტექმომსახურება	213	133
საკონსულტაციო ხარჯები	122	88
ქონების მოვლა და საოფისე ინვენტარი	63	69
წარმომადგენლობის ხარჯები	48	39
მართვის მომსახურების საფასური	43	75
მოგზაურობა და განთავსება	36	87
კომუნიკაცია	31	29
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	875	624
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	**4,587**	**4,130**

6. ხარჯები (გაგრძელება)

გაყიდვების და დისტრიბუციის ხარჯები

ათას ლარში	2024	2023
ქირა	105	104
ხელფასები	63	44
ტვირთის ღირებულება	29	57
დეგუსტაცია	2	6
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	90	101
სულ გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯები	**289**	**312**

მარკეტინგის ხარჯები

ათას ლარში	2024	2023
რეკლამა და პოპულარიზაცია	378	449
ხელფასები	107	65
სხვა	18	25
სულ მარკეტინგის ხარჯები	**503**	**539**

7. საფინანსო შემოსავლები და ხარჯები

ათას ლარში	2024	2023
წმინდა სავალუტო მოგება	-	67
საპროცენტო შემოსავალი	124	-
სულ საფინანსო შემოსავალი	**124**	**67**
წმინდა უცხოური სავალუტო ზარალი	(212)	-
სულ საფინანსო ხარჯები	**(212)**	**-**

8. ძირითადი საშუალებები

ათას ლარში	მიწა	შენობა ნაგებობები	მშენებარე	დანადგარები და აღჭურვილობა	ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	სხვა აქტივები	მსხმოიარე მცენარეები	სულ
სავარაუდო ღირებულება								
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	11,902	16,231	16,451	7,355	5,427	4,145	322	61,833
დამატებები	-	-	5,889	547	328	815	114	7,693
გასხვისება	-	(7)	-	-	-	(95)	-	(102)
შიდა ტრანსფერი	-	7,679	(7,679)	-	-	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**11,902**	**23,903**	**14,661**	**7,902**	**5,755**	**4,865**	**436**	**69,424**
დამატებები	-	113	2,775	438	41	1,065	-	4,432
გასხვისება	(152)	(3)	(48)	(122)	-	(19)	-	(344)
შიდა ტრანსფერი	-	3,516	(3,516)	-	-	-	-	-
კლასიფიკაციის კორექტირება	-	601	-	-	(1,854)	1,253	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	**11,750**	**28,130**	**13,872**	**8,218**	**3,942**	**7,164**	**436**	**73,512**
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება								
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	698	259	8,294	1,436	716	750	43	12,196
ცვეთა წლის განმავლობაში	-	472	-	620	82	728	33	1,935
ცვეთა გასხვისებაზე	-	(7)	-	-	-	(86)	-	(93)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**698**	**724**	**8,294**	**2,056**	**798**	**1,392**	**76**	**14,038**
ცვეთა წლის განმავლობაში	-	564	-	723	80	723	33	2,123
ცვეთა გასხვისებაზე	-	-	-	(103)	-	(19)	-	(122)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	**698**	**1,288**	**8,294**	**2,676**	**878**	**2,096**	**109**	**16,039**
საბალანსო ღირებულება								
2023 წლის 1 იანვარს	11,204	15,972	8,157	5,919	4,711	3,395	279	49,637
2023 წლის 31 დეკემბერს	11,204	23,179	6,367	5,846	4,957	3,473	360	55,386
2024 წლის 31 დეკემბერს	**11,052**	**26,842**	**5,578**	**5,542**	**3,064**	**5,068**	**327**	**57,473**

2024 წელს გაყიდული საქონლის ღირებულებას 538 ათასი ლარის ოდენობის ამორტიზაციის ხარჯი დაერიცხა (2023: 940 ათასი ლარი).

8. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

მშენებარე ძირითადი საშუალებები და არასაბრუნავი აქტივების წინასწარი გადახდები

მშენებლობის პროცესშია სხვადასხვა ობიექტის განვითარებისთვის გაწეული კაპიტალური ხარჯები, როგორიცაა: მუხრანბატონის სასახლის („სასახლე") გარე სივრცის გაუმჯობესება, ახალი მეღვინეობა და ვიზიტორთა ცენტრი; და გარე ქსელების გაუმჯობესება სტუმართმოყვარეობის ბიზნესისა და ვენახების ზრდის მხარდასაჭერად. 2023 წლის განმავლობაში სასახლე და ორანჟერეა დასრულდა და მშენებარეობიდან შენობების ჯგუფში გადავიდა, ხოლო კომპანიამ დაიწყო ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა და გარე კეთილმოწყობის სამუშაოები.

მშენებარე ქონება აღირიცხება თვითღირებულებით. თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის, კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ თვითღირებულებით აღრიცხული ქონების ანაზღაურებადი ღირებულება შემცირდა საბალანსო ღირებულებაზე დაბლა ან ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი ექვემდებარება აღდგენას.

2024 წლის განმავლობაში, მენეჯმენტმა გადახედა და შესაბამისად შეასწორა ძირითადი საშუალებების სასარგებლო ვადები ჩატარებული ტექნიკური შემოწმებისა და ეკონომიკური მდგომარეობის დაკვირვების საფუძველზე.

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არამიმდინარე აქტივებზე წინასწარ გადახდილი თანხები ძირითადად წარმოადგენს სხვადასხვა კომპანიისთვის წინასწარ გადახდილ თანხებს გარე ქსელების გაუმჯობესების რეკონსტრუქციისა და მშენებლობისთვის.

9. სხვა გრძელვადიანი აქტივები

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ სოფელ მუხრანში მდებარე 24,341 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, რომლის საბალანსო ღირებულება 152 ათასი ლარი იყო, მიჰყიდა საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ სუბიექტს - შპს „MD Property", 1,637 ათასი ლარის სანაცვლოდ მისაღები თანხით არაუგვიანეს 2027 წლის 27 თებერვლისა. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გრძელვადიან აქტივებს წარმოადგენს ამ გაყიდვებიდან მისაღები თანხა, რომელიც შეფასებულია შესაბამისი საკომისიოს თანხების დისკონტირებული ამჟამინდელი ღირებულებით.

ეს ტრანზაქცია წარმოადგენს პრივატიზაციის ინიციატივის ნაწილს, რომელსაც საქართველოს მთავრობა 2023 წლის 10 ოქტომბრის დადგენილებით ხელმძღვანელობს. ამ დადგენილების საბოლოო შედეგია შპს „MD property"-ის მიერ შეძენილი მიწის ნაკვეთების გაცვლა სასახლის მიმდებარედ არსებულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებთან, რომლებზეც კომპანია ტურისტული საქმიანობის გაფართოებას გეგმავს. კომპანიის მიერ ამ გაცვლასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებების შესახებ იხილეთ შენიშვნა 16.

10. მარაგები

ათას ლარში	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
დაუმთავრებელი წარმოება	8,807	8,274
მზა პროდუქცია	6,227	5,778
შესაფუთი მასალები	1,301	1,575
ვენიფიკაცია და ვენახის მასალები	428	232
სხვა	204	55
სულ მარაგები	**16,967**	**15,914**

2024 წელს წედლეული, სახარჯი მასალები და მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების ცვლილებები, მათ შორის წარმოების ზედნადები ხარჯები, რომლებიც აღიარებულია გაყიდვების ღირებულებად, შეადგენს 5,840 ათას ლარს (2023: 6,274 ათასი ლარი).

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათას ლარში

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	4,954	3,419
სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი	(200)	(199)
სულ სავაჭრო მოთხოვნები	**4,754**	**3,220**
წინასწარი გადახდები მომწოდებლებისთვის	487	457
სხვა მოთხოვნები	-	186
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**5,241**	**3,863**

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

ათას ლარში

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფული სალაროში	3	11
საბანკო ნაშთები	1,541	1,593
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**1,544**	**1,604**

შეზღუდული ნაღდი ფული 1,498 ათასი ლარის ოდენობით (2023 წლის 31 დეკემბერი: 1,500 ათასი ლარი) წარმოადგენს სს თიბისი ბანკის მიერ 2023 წლის 24 ნოემბერს გაცემული საბანკო გარანტიისთვის საბანკო დეპოზიტზე განთავსებულ ნაღდ ფულს, დაფარვის თარიღით 2026 წლის 18 სექტემბერი. საბანკო გარანტია აკმაყოფილებს ჯგუფის ვალდებულებებს, დეტალურად იხილეთ შენიშვნა 16-ში.

13. საწესდებო კაპიტალი

აქციების რაოდენობა, თუ სხვა რამ არ არის მითითებული	ჩვეულებრივი აქციები 2024	2023
გამოშვებულია 1 იანვრის მდგომარეობით, სრულად გადახდილი	109,516,343	103,107,467
გამოშვებულია 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრულად გადახდილი	115,403,492	109,516,343
ავტორიზებული აქციები - ნომინალური ღირებულება	**1 ლარი**	**1 ლარი**

2024 წლის განმავლობაში სს „მარუსია ბევერიჯს ჯორჯიამ" სააქციო კაპიტალში ნაღდი ფულით შეიტანა 5,887 ათასი ლარის ოდენობით (2023: 6,409 ათასი ლარი). ყველა ჩვეულებრივი აქცია თანაბრად არის შეფასებული კომპანიის ნარჩენ აქტივებთან მიმართებაში.

ჩვეულებრივი აქციები. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიის განაწილებადი რეზერვები იზღუდება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული დაგროვილი გაუნაწილებელი მოგების გალანსით. 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აღრიცხული ჰქონდა დაგროვილი წაგება და განაწილებადი რეზერვები არ არსებობდა.

საწესდებო პრემია. საწესდებო პრემია წარმოადგენს საწესდებო კაპიტალის რეგისტრირებულ ოდენობასა და მიღებული ფაქტობრივი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობას.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათას ლარში	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები მესამე პირებზე	1,831	1,764
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ	406	136
სულ სავაჭრო ვალდებულებები	**2,237**	**1,900**
სხვა ვალდებულებები	114	58
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**2,351**	**1,958**

15. ფინანსური ინსტრუმენტები

ათას ლარში	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
ამორტიზებული დანახარჯის მეთოდით აღრიცხული ფინანსური აქტივები ნაკლები დაქვეითებით	7,691	5,010
სულ	**7,691**	**5,010**
ფინანსური ვალდებულებები		
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები	2,351	1,958
სულ	**2,351**	**1,958**

16. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებები. 2023 წლის 10 ოქტომბერს გამოცემული მთავრობის დადგენილებით №1799, კომპანიამ და მასთან დაკავშირებულმა პირმა – შპს „MD Property"-მ – აიღეს ვალდებულება, დაეთმოთ კომპანიის საკუთრებაში არსებული გარკვეული მიწის ნაკვეთები (სხვა მიწის ნაკვეთების სანაცვლოდ) და გაეკეთებინათ გარკვეული საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა, მათ შორის, სოფელ მუხრანში საჯარო სტადიონის მშენებლობა.
დადგენილების მოთხოვნის შესაბამისად, ჯგუფმა განათავსა 1,500 ათასი ლარის ოდენობის ნაღდი ფულადი დეპოზიტი (შეზღუდული ნაღდი ფული) საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ გაცემული საბანკო გარანტიის უზრუნველსაყოფად. მიწის ნაკვეთების გადაცემის დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 9.
სასამართლო საქმე. დროდადრო და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა მიღებული იყოს სარჩელები. საკუთარი შეფასებებისა და შიდა პროფესიული კონსულტაციის საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ამ ფინანსურ ანგარიშგებაში გაკეთებულ რეზერვებს გადააჭარბებს რაიმე მნიშვნელოვანი ზარალი.
დაზღვევა. საქართველოში სადაზღვევო ინდუსტრია განვითარების სტადიაშია და დაზღვევის მრავალი ფორმა, რომელიც ხელმისაწვდომია მსოფლიოს სხვა ნაწილებში, ჯერ კიდევ არ არის ზოგადად ხელმისაწვდომი. კომპანიას არ აქვს სრული დაზღვევა თავისი საწარმოო ობიექტების, ბიზნესის შეფერხების ან მესამე პირების მიმართ ვალდებულებების შესახებ ქონებრივი ან გარემოსდაცვითი ზიანის გამო, რომელიც წარმოიშობა კომპანიის ქონებასთან ან ოპერაციებთან დაკავშირებული ავარიებიდან. სანამ კომპანია არ მიიღებს ადეკვატურ სადაზღვევო დაფარვას,

არსებობს რისკი, რომ გარკვეული აქტივების დაკარგვას ან განადგურებას შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა ჰქონდეს კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

საგადასახადო პირობითი ვალდებულებები. საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობაში, ოფიციალურ განმარტებებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებში ხშირი ცვლილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, წინააღმდეგობრივი და განსხვავებულ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო ორგანოების მიერ შემოწმებისთვის მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა გარკვეულ გარემოებებში საგადასახადო წელი შეიძლება ღია დარჩეს უფრო დიდხანს.

აღნიშნულმა გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემებით. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ადეკვატურად უზრუნველყო საგადასახადო ვალდებულებები შესაბამისი ქართული საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განმარტებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს და ამ ფინანსური ანგარიშგებების მიხედვით, თუ ორგანოები წარმატებული იქნებიან თავიანთი ინტერპრეტაციების გატარებაში, ეფექტი შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულაციები ვითარდება და სამთავრობო ორგანოების აღსრულების პოზიცია მუდმივად გადაიხედება. პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას არსებული რეგულაციების, სამოქალაქო დავების ან კანონმდებლობის ცვლილებების შედეგად, არ შეიძლება შეფასდეს, მაგრამ შეიძლება იყოს არსებითი.

მნიშვნელოვანი რეგულაცია, რომელიც მენეჯმენტს აწუხებს, არის ხმაურისა და გარემოს დაბინძურების შესახებ რეგულაციები. მენეჯმენტი ყოველწლიურად წარადგენს ანგარიშებს ცემენტის ქარხნების ხმაურისა და დაბინძურების ნორმების შესახებ. გარდა ამისა, თუ გარემოს დაცვის სამინისტრო მიიღებს რაიმე სახის პრეტენზიას, რომელიც ეხება საწარმოს საქმიანობას, ტარდება მოულოდნელი შემოწმებები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ქარხნები მნიშვნელოვნად აღემატება მიღებულ ნორმებს და რეგულაციების დარღვევის რისკი არ არსებობს.

16. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები და ნაშთები შემდეგია:

	ოპერაციები		ნაშთი 31 დეკემბერის მდგომარეობით	
ათას ლარში	2024	2023	2024	2023
საქონლისა და მომსახურების გაყიდვები:				
დედა კომპანია	2,455	2,626	2,808	1,885
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	5,070	2,423	1,342	704
საქონლისა და მომსახურების შესყიდვები:				
დედა კომპანია	932	768	556	-
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	614	451	64	136
სხვა ტრანზაქციები და დავალიანება:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი ერთეულებისთვის გაცემული სესხები	-	-	142	-
მიწის ნაკვეთების გაყიდვა საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტებისთვის	1,251	-	1,251	-

ყველა ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან უნდა დაიფაროს ნაღდი ანგარიშსწორებით საანგარიშგებო თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში. არცერთი ნაშთი არ არის უზრუნველყოფილი.

გარიგებები მმართველ პერსონალთან. მმართველ პერსონალში შედიან გენერალური დირექტორი, ფინანსური დირექტორი, წარმოების დირექტორი, მარკეტინგის დირექტორი და იურიდიული დირექტორი. მათ წლის განმავლობაში მიიღეს შემდეგი ანაზღაურება, რომელიც ასახულია პერსონალის ხარჯებში (იხილეთ ასევე შენიშვნა 6).

ათას ლარში

	2024	2023
ხელფასები და ბონუსები	433	527

17. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

2025 წლის 6 მარტს კომპანიამ სს „საქართველოს ბანკისგან" მიიღო გრძელვადიანი სესხი 1,500 ათასი ლარის ოდენობით, მისი ღვინის ქარხნის რეკონსტრუქციისთვის. სესხი ნაწილობრივ სუბსიდირებულია საქართველოს მთავრობის მიერ და მისი დაფარვის ვადა 2029 წელს იწურება.

სს შატო მუხრანი

ხელმძღვანელობის ანგარიში – საქმიანობის მიმოხილვა 2024

1. საწარმოს ბიზნესის განვითარება, შედეგები და პოზიცია

„შატო მუხრანი“ არის ქართული სააქციო საზოგადოება, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. სს „შატო მუხრანი“ დარეგისტრირდა 2002 წლის 12 ივლისს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2010 წლის 17 თებერვალს კომპანია რეორგანიზებულ იქნა სააქციო საზოგადოებად. კომპანიის რეგისტრაციის ნომერია 205000381 და იურიდიული მისამართია: მუხრანი, მცხეთა, 3309, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ვაზის მოყვანა, ღვინის წარმოება და ვაჭრობა, ასევე ტურიზმი და სტუმართმოყვარეობა. კომპანია ეფუძნება მუხრანის რეგიონში მეღვინეობის ისტორიულ ტრადიციას. 2007 წელს კომპანიის ახალ ღვინის ქარხანაში მნიშვნელოვანი ინვესტიცია განხორციელდა. ამჟამად ის აღჭურვილია ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით და შეესაბამება ISO 9001:2005 სურსათის უვნებლობისა და ISO 9001:2008 ხარისხის მართვის სტანდარტებს. 2007 წლიდან კომპანია ღვინოს საკუთარ ვენახებში მოკრეფილი ყურძნისგან აწარმოებს.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია სრულად ეკუთვნის სს „მარუსია ბევერიჯის ჯორჯიას“.

2024 წელს „შატო მუხრანმა“ 12,660 ათასი ლარის შემოსავალი მიიღო, ხოლო საოპერაციო ზარალმა 1,020 ათასი ლარი შეადგინა. წმინდა ზარალმა 1,108 ათასი ლარი შეადგინა.

განვითარების გეგმები

2023 წელს „შატო მუხრანმა“ დაასრულა რესტორნისთვის ორანჟერეის შენობის მშენებლობა. კომპანია ამ შენობას იყენებს მდიდრული ღონისძიებების ჩასატარებლად და კომპანიის ტურიზმისა და სტუმართმოყვარეობის ბიზნესის შემდგომი გაფართოებისთვის. კომპანია გეგმავს ინვესტიციების გაგრძელებას მამულსა და ღვინის ქარხანაში 2025 წელს და შემდგომში.

2. კვლევა და განვითარება

შატო მუხრანმა 2024 წელს კვლევითი და განვითარების აქტივობა არ განახორციელა.

3. ინფორმაცია ფილიალების შესახებ

კომპანიას არ აქვს ფილიალები ან შვილობილი კომპანიები.

4. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები:

ათასი ლარი	2024	2023
შემოსავალი	12,660	12,891
საოპერაციო ზარალი	(1,020)	(1,810)
წმინდა ზარალი	(1,108)	(1,743)

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები:

	2024	2023
გაყიდული ღვინო (ათასი ლიტრი)	269	288
ვენახის ფართობი (ჰა)	102	102

5. **საწარმოს საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკებისა და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა**

კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად კონცენტრირებულია დსთ-ს ყოფილი ქვეყნების რეგიონის ქვეყნებში. კომპანია ადგენს გაუფასურების რეზერვს, რომელიც წარმოადგენს მის მიერ შეფასებულ მოსალოდნელი ზარალის შესახებ სავაჭრო დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია მნიშვნელოვნად არ არის დამოკიდებული სავაჭრო დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკზე და მოსალოდნელი ზარალის მთლიანი ჯამური ოდენობა არ არის მნიშვნელოვანი ფინანსური ანგარიშგებისთვის. „შატო მუხრანი" მიზნად ისახავს გაყიდვების დივერსიფიკაციას დასავლეთ ევროპასა და ჩინეთში, რათა შეამციროს დსთ-ს ყოფილი ქვეყნების ბაზრებზე დამოკიდებულება.

6. **SWOT ანალიზი**

კომპანია რეგულარულად ახორციელებს SWOT ანალიზს და ანალიზის შედეგები მოცემულია ქვემოთ:

ძლიერი მხარეები	შესაძლებლობები
კომპანიის ისტორია, სტრატეგია და აქტივები	ქართული ღვინის რეპუტაცია
ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება	მთავრობის მხარდაჭერა
აღიარება საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ	ტურიზმის მხარდაჭერა და განვითარება
საკუთარი ვენახები და მეღვინეობის აღჭურვილობა	ახალი ბაზრები (მაგ. ჩინეთი)
მდებარეობა და გამორჩეული მდებარეობა	ქართული ღვინის შესახებ ცნობადობის გაზრდა
საერთაშორისო ჯგუფის წევრი	ზრდის პოტენციალი მხარდაჭერილია მფლობელთა ჯგუფის მიერ
სუსტი მხარეები	საფრთხეები
ეკონომიკური არასტაბილურობა, სავალუტო კურსის რყევები, ინფლაცია	უკრაინის ომის ნეგატიური გავლენა
პორტფოლიოს სრული პოტენციალის არგამოყენება	კონკურენციის ზრდა
ფასისა და ხარისხის თანაფარდობა	ახალი რეგულაციები და შეზღუდვები ძირითად ბაზრებზე
	ეკონომიკური სტაბილურობა საქართველოში და ძირითად ბაზრებზე

29 აპრილი, 2025 წელი

/ხელმოწერილია/

პატრიკ ჰონეფი
უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი

/ხელმოწერილია/

დავით კუპატაძე
ფინანსური დირექტორი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N250960707
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	28.07.2025 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	თეა ედიშერაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	საქართველო, ქ. თბილისი, ა.მირცხულავას ქ. N9, კორპუსი N2, სართული 2, საოფისე ფართი N4
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 591 202027
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	97022217912625

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

მე, ნოტარიუსი საქართველოში თეა ედიშერაშვილი, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ა. მირცხულავას ქ. N9, კორპუსი N2, სართული 2, საოფისე ფართი N4, ვამოწმებ მთარგმნელის ნინო დელიბაშვილის (დაბადებული: 13.02.1988 წელს, მცხოვრები: გარდაბანი ს. ნორიო მერაბ კოსტავას ქ. N 33, პირადი №12001053627) ხელმოწერის ნამდვილობას თარგმანზე (ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი B № 001878, გაც. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ 15.12.2009წ, სარეგისტრაციო ნომერი 02026). მთარგმნელი გაფრთხილებულია, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე. თარჯიმანი ადასტურებს თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებების არარსებობას და იძლევა თარგმანის სისწორის გარანტიას.

ხელმომწერის ვინაობა დადგენილია და ქმედუნარიანობა შემოწმებულია.

თარგმანი წარმოდგენილია 28 გვერდზე 1 ეგზემპლიარად.

სანოტარო მომსახურების საზღაური 84.00 ლარი თანახმად, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების 31-ე მუხლისა, დღგ 15.12 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა და 5.00 ლარი, თანახმად ამავე დადგენილების 39-ე მუხლისა.

ნოტარიუსი: თეა ედიშერაშვილი